39/102-01
21.06.2022

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

თანხმობის წერილი

გაცნობებთ, რომ შპს „ველიფონის“ (ს/ნ 405434310) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი- კოჯორის გზატკეცილი N62; ს/კ 81.02.08.546; დატვირთულია იპოთეკის უფლებით სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ (იპოთეკის ხელშეკრულება N1231232916988, დადების თარიღი 16.12.2021, ცვლილების თარიღი: 28.12.2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო).

გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი“, როგორც იპოთეკარი, თანახმაა უზრუნველყოფის ობიექტზე ს/კ **81.02.08.546** გაიცეს მშენებლობის ნებართვა და განხოციელდეს რეკონსტრუქცია, იმ პირობით, რომ სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ არსებული უფლებები სრულად შენარჩუნდება.

სს „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალის დირექტორი

მარიამ შავგულიძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
0179 თბილისი, საქართველო

11 Chavchavadze Ave.
0179 Tbilisi, Georgia

ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაოთხ დეკემბერს მე, ნოტარიუს ლიანა ბუხრიკიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.#81,მომმართა **გიორგი გოგოძემ,** რომელმაც მოითხოვა მასზე მინდობილი უფლებამოსილებების (თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული ნოტარიუს მ. გვაზავას მიერ 27.02.2020, სანოტარო მოქმედების რეგ. #200210074, სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური #48847718021720) **სს,,თიბისი ბანკის" ცენტრალური ფილიალის ადმინისტრატორის მარიამ შავგულიძისათვის** (დაბ. 14.06.1980წ. პ#01019008916, მისამართი: თბილისი პეტრე ქავთარაძის ქ. N 14 ბ. 9) გადაცდომა, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი გოგოძემ (დაბ. 08.08.1978 თბილისში, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტალი, კორპუსი 18, ბინა 34. პ/ნ 01001003506, ბარათის #151E68985, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 04.10.2016წ.) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭირდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის წამდვილობა. აგრეთვე დავადგინე და ვადასტურებ, რომ ზემოხსენებული მინდობილობის (დამოწმებული ნოტარიუს მ. გვაზავას მიერ 27.02.2020, რეგ. #200210074. საფუძველზე **გიორგი გოგოძეს** აქვს წინამდებარე მინდობილობის გაცემის (მასზე მინიჭებული უფლებების გადაცდობის) უფლებამოსილება. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაოთხ დეკემბერს **გიორგი გოგოძემ** (დაბ. 08.08.1978 თბილისში, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტალი, კორპუსი 18, ბინა 34, პ/ნ 01001003506, ბარათის #151E68985, გაც. იუსტიციის სამინიტროს მიერ 04.10.2016წ.) **სს,,თიბისი ბანკის"** ცენტრალური **ფილიალის ადმინისტრატორს მარიამ შავგულიძეს** (დაბ. 14.06.1980წ. პ#01019008916, მისამართი: თბილისი პეტრე ქავთარაძის ქ. N 14 ბ. 9), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით სრულად გადაანდო შემდეგი უფლებამოსილებები:

1. "რწმუნებული" მარიამ შავგულიძე უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს,ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის, ფილიალის ფარგლებში გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის,გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას,თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს,რაც აუცილებელი იქნება **ფილიალის** შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.

2.ამ მინდობილობით **მარიამ შავგულიძეს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას **სს,,თიბისი ბანკის"** ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.

3. ეს მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაორი წლის სამი იანვრიდან ორიათას ოცდაორი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.

4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინ.ხება ნოტარიუს ლ.ბუხრიკიძის სანოტარო არქივში.

5."რწმუნებულს" უფლება აქვს ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადასცეს (გადაანდოს)**ფილიალის** თანამშრომლებს (რომლებსაც აღარ ექნებათ შემდგომი გადაანდობის უფლება).


სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: 13.80 /ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი/ **ლარი,** მათ შორის: 10.00 /ათი/ **ლარი,** თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა, 1.80 /ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი/ **ლარი,** თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 2.00 /ორი/ **ლარი,** თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება #507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ლ. ბუხრიკიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

66782652215521

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N211433418

რეგისტრაციის თარიღი

24.12.2021 წ

ნოტარიუსი: ლიანა ბუსხრიკიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #81
ტელეფონი: 95-25-20

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

02 ნოემბერი. 2022 წ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

წინამდებარე წერილობითი დოკუმენტით, შპს „ფუდმარტი“ თანხმობას აცხადებს, მასზედ, რომ შპს „ველიფონის“ -ს (405434310) მიერ განხორციელებული იქნას, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 81.02.08.546), ნომერ:AR1931528 განცხადებით, შესათანხმებელი სამუშაოები.

თანხმობა გაცემულია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის (სსიპ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

შპს „ფუდმარტი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილე

უჩა უგულავა



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4216821-22

"07" 11 2022 წ.

დადგენილება №001240
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.11.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზურაბ მამსიკაშვილმა განვიხილე, 2022 წლის 7 ნოემბრის №001240 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, **შ.პ.ს. „ველიფონი"-ს** (საიდენტიფიკაციო №405434310; მის.: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საირმის ქუჩა, №83) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №62, №81.02.08.546 საკადასტრო კოდზე, შ.პ.ს. „ველიფონი"-ს მიერ, განხორციელდა არსებული მაღაზიის რეკონსტრუქცია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 5 ივლისის №6005338 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ: დარღვეულია მე-4 ეტაპით „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე; შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა; შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა" გათვალისწინებული სამუშაოები: „5" ღერძზე მონოლითური კოლონების ნაცვლად მოწყობილია ლითონის სვეტები. „ე" ღერძზე გაუქმებულია კოლონები. შეცვლილია გადახურვის ტიპი, გადახურვაში მოწყობილია ორტესებრი კოჭები.

2022 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001240 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის მიერ 2022 წლის 2 ნოემბერს წარმოდგენილი №10/01223061136-17 განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ველიფონი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი

ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №62, №81.02.08.546 საკადასტრო კოდზე, შ.პ.ს. „ველიფონი"-ს მიერ, განხორციელდა არსებული მაღაზიის რეკონსტრუქცია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 5 ივლისის №6005338 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ: დარღვეულია მე-4 ეტაპით „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე; შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა; შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა" გათვალისწინებული სამუშაოები: „5" ღერძზე მონოლითური კოლონების ნაცვლად მოწყობილია ლითონის სვეტები. „ე" ღერძზე გაუქმებულია კოლონები. შეცვლილია გადახურვის ტიპი, გადახურვაში მოწყობილია ორტესებრი კოჭები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. „ველიფონი"** დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №62, №81.02.08.546 საკადასტრო კოდზე, II კლასის შენობა-ნაგებობის (არსებული მაღაზია) სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელებული რეკონსტრუქციისთვის, კერძოდ დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-4 ეტაპით „ძირითადი კონსტრუქციული სისტემას მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე; შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა; შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა", გათვალისწინებული სამუშაოები;

2. **შ.პ.ს. „ველიფონი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „ველიფონი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზურაბ მამსიკაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-2/21680-22

"07" 11 2022 წ.

დადგენილება №001241
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.11.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზურაბ მამსიკაშვილმა განვიხილე, 2022 წლის 7 ნოემბრის №001241 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, **შ.პ.ს. „ველიფონი"-ს** (საიდენტიფიკაციო №405434310; მის.: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საირმის ქუჩა, №83) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №62, №81.02.08.546 საკადასტრო კოდზე, შ.პ.ს. „ველიფონი"-ს მიერ, განხორციელდა არსებული მაღაზიის რეკონსტრუქცია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 5 ივლისის №6005338 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ დარღვეულია მე-5 ეტაპით „არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები" გათვალისწინებული სამუშაოები: შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ვიზუალი. „ზ" ღერძზე „4-5" მონაკვეთში ვიტრაჟში გაუქმებულია კარი. „7" ღერძზე „ბ-დ" მონაკვეთში ვიტრაჟში მოწყობილია კარი. „4" ღერძზე „ე-ზ" მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური კედელი. „1" ღერძზე „ა-გ" და „ბ-დ" მონაკვეთში მოწყობილია მცირე ზომის კაპიტალური კედლები. „ა" ღერძზე „7" ღერძის გარეთ მოწყობილია მონოლითური კედელი. „გ-დ" „1-4" მონაკვეთში შეცვლილია ბლოკის კედლების მდებარეობა. ფასადებზე მოწყობილია საკომუნიკაციო ღიობები. ფასადსა და სახურავზე დამატებით მოწყობილია აგრეგატები. შეცვლილია წყალშემკრები მილების რაოდენობა. „2" ღერძზე „ე-ზ" მონაკვეთში დამატებულია წყალშემკრები მილი.

2022 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის

სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001241 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის მიერ 2022 წლის 2 ნოემბერს წარმოდგენილი №10/01223061136-17 განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ველიფონი”-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.ბ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №62, №81.02.08.546 საკადასტრო კოდზე, შ.პ.ს. „ველიფონი”-ს მიერ, განხორციელდა არსებული მაღაზიის რეკონსტრუქცია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 5 ივლისის №6005338 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ: დარღვეულია მე-5 ეტაპით „არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები” გათვალისწინებული სამუშაოები: შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ვიზუალი. „ზ“ ღერძზე „4-5“ მონაკვეთში ვიტრაჟში გაუქმებულია კარი. „7“ ღერძზე „გ-დ“ მონაკვეთში ვიტრაჟში მოწყობილია კარი. „4“ ღერძზე „ე-ზ“ მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური კედელი. „1“ ღერძის გარეთ „გ-დ“ მონაკვეთში მოწყობილია მცირე ზომის კაპიტალური კედლები. „ა“ღერძზე „7“ ღერძის გარეთ მოწყობილია მონოლითური კედელი. „გ-დ“ „1-4“ მონაკვეთში შეცვლილია ბლოკის კედლების მდებარეობა. ფასადებზე მოწყობილია საკომუნიკაციო ღიობები. ფასადსა და სახურავზე დამატებით მოწყობილია აგრეგატები. შეცვლილია წყალშემკრები მილების რაოდენობა. „2“ ღერძზე „ე-ზ“ მონაკვეთში დამატებულია წყალშემკრები მილი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.ბ.” ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ველიფონი” დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №62, №81.02.08.546 საკადასტრო კოდზე, II კლასის შენობა-ნაგებობის (არსებული მაღაზია) სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელებული რეკონსტრუქციისთვის. დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-5 ეტაპით „არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები”, გათვალისწინებული სამუშაოები;

2. შ.პ.ს. „ველიფონი”-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის

კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „ველიფონი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **ზურაბ მამსიკაშვილი**

საგადახდო დავალება
Payment Order

1668069460 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 10/11/2022

გადამხდელი / Sender

შპს ველიფონი, 405434310

რეფერენსი / Ref. Num.

8233821526

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE90TB7252536080100011

თანხა / Amount: 4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank: *სს თიბისი ბანკი*

ბანკის კოდი / Bank Code: *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: *შპს ველიფონი, 405434310*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 405434310

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code: 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date
10/11/2022

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: *ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური*

ბანკის კოდი / Bank Code: *TRESGE22*

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილების N 001240 -4000ლარი შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

ბ.ა.

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

საგადახდო დავალება
Payment Order

1668069480 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 10/11/2022

გადამხდელი / Sender

შპს ველიფონი, 405434310

რეფერენსი / Ref. Num.

8233821466

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE90TB7252536080100011

თანხა / Amount

4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს ველიფონი, 405434310

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 405434310

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date
10/11/2022

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილების N 001241-4000ლარი შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ბ.ა.

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.